RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველო და ბალტიის ქვეყნები: ურთიერთობები უკრაინის ომის ფონზე

ნინო ჩანადირი

185

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ნინო ჩანადირი

საქართველო და ბალტიის ქვეყნები: ურთიერთობები უკრაინის ომის ფონზე

185

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

საქართველოს და ბალტიის სახელმწიფოებს — ლიეტუვას, ლატვიას და ესტონეთს — დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ, რომელიც გამყარებულია საერთო საბჭოთა წარსულითა და რუსეთის მხრიდან ზეგავლენისა და ძალადობის საერთო გამოცდილებით, ასევე, საერთო ხედვით იმ საფრთხისა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპას რუსეთიდან ემუქრება. ყოველივე ეს კი ამ სახელმწიფოებში აყალიბებს საზიარო სურვილს, რომ შორს იყვნენ რუსეთის გავლენებიდან. ბალტიის სახელმწიფოები, უკრაინასთან (და ბელარუსთან) ერთად, რუსეთს ესაზღვრებიან და ევროპასა და რუსეთს შორის შეხების წერტილს წარმოადგენენ.[1] საქართველო კი რუსეთსა და თურქეთს შორის მდებარეობს და მათ დამაკავშირებელ როლს ასრულებს. იმისთვის, რომ საქართველოს და ბალტიის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა წარმატებული იყოს და წარმატებით შესრულდეს მისი ერთ-ერთი ფუნქცია - შეამციროს რუსეთის გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში - მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის მაღალი ხარისხი, რომელიც იდგება არა მხოლოდ საერთო წარსულზე, არამედ უსაფრთხოების საერთო ხედვასა და გაზიარებულ ღირებულებებზე, რომელსაც შეუძლია პარტნიორობა მყარი და ხანგრძლივი გახადოს.

საქართველოსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა დღემდე იყო საკმაოდ ძლიერი. ბალტიის სახელმწიფოები საქართველოსა და უკრაინის მხარდამჭერები იყვნენ როგორც ევროკავშირში, ასევე ნატოში და ყოველთვის ცდილობდნენ, რომ სხვა სახელმწიფოებს მხარი დაეჭირათ ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებისა და ნატოს მხრიდან მათთვის ღია კარის პოლიტიკის შენარჩუნებისთვის.[2] 2008 წელს, რუსეთის საქართველოში შემოჭრის შემდეგ, ბალტიის სახელმწიფოების ლიდერები იყვნენ ისინი, ვინც ყველაზე დიდი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს მიმართ და ომის პირობებში ჩამოვიდნენ. მხარდაჭერა იყო არა მხოლოდ პოლიტიკური წრეებისგან, არამედ ამ ქვეყნების საზოგადოებებისგანაც. ბალტიის სახელმწიფოებში 2008 წლის აგვისტოში ხალ-ხი ქუჩაში გამოდიოდა და საქართველოს სოლიდარობას უცხადებდა.[3] გარდა ამისა, ბალტიის ქვეყნების ოფიციალური პირები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ დანარჩენი ევროპისთვის ფართო კონტექსტით ეჩვენებინათ საქართველო-რუსეთის ჭიდილის საკითხი, რათა მოვლენათა ფართო სურათი დაენახებინათ. თანამდებობის პირები და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურები მუდმივად ამბობდნენ, რომ რეაქციები დასავლური სამყაროდან 2008 წელს ბევრად მკაცრი უნდა ყოფილიყო, რასაც შეიძლებოდა უკრაინის 2014 წლის მოვლენების პრევენციაც მოეხდინა.[4]

უკრაინის ომის პარალელურად, ბალტიის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ მათ შორის პირველები, ვისი რეაქციაც რუსეთის შეჭრაზე უკრაინაში ყველაზე მკაცრი იყო. გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები უკრაინის დასახმარებლად და რუსეთის პოზიციის დასასუსტებლად, რათა მან ვეღარ შეძლოს სამხედრო კამპანიის გაგრძელება.

ერთი შეხედვით, უკრაინაში ომს ბალტიის სახელმწიფოები, საქართველო და უკრაინა კიდევ უფრო უნდა დაეახლოებინა, რადგან ლოგიკური იქნებოდა, რომ სახელმწიფოები, რომელთაც ერთნაირი ინტერესები და ხედვები აკავშირებთ, დასავლური სამყაროსთვის ყველაზე მძიმე კრიზისის დროს ერთად დამდგარიყვნენ. მაგრამ თუ ომის დროს უკრაინასა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა, საქართველო „გუნდიდან" განზე მდგომი აღმოჩნდა. ამას არაერთი მიზეზი აქვს, უკრაინის საკითხთან მიმართებით საქართველოს უხერხული პოზიციის ჩათვლით, რაც კითხვებს აჩენს ქვეყნის ცივილიზაციურ არჩევანთან დაკავშირებითაც. აქვე ჩანს შიდა პოლიტიკური პრობლემებიც და დემოკრატიული განვითარების მიმართულებით ხარვეზებიც, რაც პირდაპირ აისახება საქართველოს საერთაშორისო პოზიციებსა და პერსპექტივებზე.

ბალტიის სახელმწიფოების და საქართველოს რეაქცია უკრაინის ომზე

რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ როგორც ბალ-ტიის სახელმწიფოებში, ისე საქართველოში გავრცელდა მოსაზრება, რომ თუ რუსეთი ომს მოიგებს, ის უკრაინაში არ შეჩერდება. ომის პირველივე დღეებიდან გამოკითხვები აჩვენებდა, რომ ქართული საზოგადოება უკრაინას მხარდაჭერას უცხადებდა და თვლიდა, რომ საქართველო შეიძლება „მომდევნო იყოს რიგში".[5] თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს მხარდაჭერა არ აისახა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებში, რომელმაც განზე დგომა არჩია და ღიად განაცხადა, რომ არ აპირებს რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს შეუერთდეს.[6] როდესაც უკრაინიდან საქართველოს უხერხულ პოზიციასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გაისმა, საქართველოს მთავრობამ კამპანიაც კი წამოიწყო ზოგიერთი უკრაინელი ლიდერის წინააღმდეგ და ისინი დაადანაშაულა, რომ კონკრეტული ქართული ოპოზიციური პარტიების გავლენის ქვეშ იყვნენ.[7]

საქართველოდან მკაფიო მხარდაჭერის ნაკლებობამ სხვა აღმოსავლეთევროპულ სახელმწიფოებშიც ბევრი გააოგნა და იმედიც გაუცრუა. ბალტიის ქვეყნების მნიშვნელოვანი ფიგურები გამოთქვამდნენ იმედგაცრუებას საქართველოს პოზიციის გამო, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველოს თავად აქვს ოკუპაციის პრობლემა და უსაფრთხოების გამოწვევები. ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტი თომას ჰენდრიკ ილვესი წერდა, რომ გაუგებარია, როგორ შეიძლება საქართველო ელოდეს თავისი ოკუპაციის დაგმობას, როდესაც ის თავად არ აფიქსირებს მკაფიო პოზიციას, როდესაც მისი მეზობელი საფრთხეშია.[8] ქართველი დიპლომატები, რომლებსაც კავშირები აქვთ ევროპაში, ასევე აცხადებენ, რომ მიუხედავად ბალტიის სახელმწიფოების ჯერ კიდევ არსებული მხარდაჭერისა, უკანასკნელ პერიოდში უკრაინის საკითხის მიმართ საქართველოს პოზიციის გამო ურთიერთობები შეიცვალა.[9]

თავად ბალტიის სახელმწიფოების მხრიდან უკრაინის მხარდაჭერა საკმაოდ დიდია. მიუხედავად ნატოს წევრობისა, რაც ამ ქვეყნებს მეტ დაცუ-

ლობას სთავაზობს, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ განცდა, რომ არა-ფერია გარანტირებული და საჭიროა მზადყოფნა იმისთვის, რომ ბალტიის სახელმწიფოებიც შეიძლება გახდნენ რუსეთის სამიზნე, განსაკუთრებით მაშინ, თუ უკრაინა დაეცემა, მნიშვნელოვანი განხილვის თემა გახდა არა მხოლოდ საშინაო, არამედ საერთაშორისო დონეზეც. ბალტიის სახელმწიფოების ოფიციალურ პირებს ესმით, რომ ნატოს ომში პირდაპირი ჩართულობის შემთხვევაში რეგიონი გახდება ტერიტორია, სადაც, როგორც ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, „ნატო საკუთარი ტერიტორიის დაცვის დროს ან მოიგებს, ან დამარცხდება“.[10] შესაბამისად, უკრაინის მხარდაჭერა და მონაწილეობა, რომ რუსეთი დამარცხდეს, ბალტიის სახელმწიფოებისთვის გახდა არა მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობა, არამედ კიდევ უფრო მეტად - ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი.

ბალტიის სახელმწიფოები რომ უკრაინას სამხედრო თვალსაზრისით დაეხმარებოდნენ, ჯერ კიდევ ომამდე გახდა ცნობილი,[11] როდესაც რუსული ძალების უკრაინის საზღვართან მობილიზების პარალელურად გაძლიერდა უკრაინაში რუსეთის შეჭრის მოლოდინი. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ ესტონეთი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც უკრაინის თავზე არასაფრენი ზონის გამოცხადებას ითხოვდა,[12] მოგვიანებით კი პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც რუსეთის ქმედებები უკრაინაში ოფიციალურად აღიარა გენოციდად.[13] ზოგადი შეფასებით, სამივე ქვეყანამ მკაცრი ნაბიჯები გადადგა რუსეთის წინააღმდეგ უკრაინაში ომის საპასუხოდ. ისინი იღებენ დიდი რაოდენობით უკრაინელ ლტოლვილებს, წყვეტენ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ კავშირებს რუსეთთან[14] და პოლონეთთან ერთად ცდილობენ უკრაინისთვის ევროკავშირის დახმარების გაგრძელებასა და გაძლიერებას.[15]

უკრაინაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ბალტიის სახელმ-წიფოებსა და საქართველოს შორის განსხვავება კარგად შესამჩნევია და, როგორც უკვე აღინიშნა, იმოქმედა იმაზეც, თუ როგორ აღიქვამენ საქართველოს, მის რეალურ პოზიციას და საგარეო ურთიერთობების პრიორიტეტებს. მოსალოდნელი იყო, რომ ქვეყნები, ერთნაირი ინტერესებით და ხედვებით, ერთ პოზიციას დაიკავებდნენ და მათი ქმედებები სინქრონიზებული იქნებოდა, რომ წვლილი შეეტანათ საერ-თო მტრის დასუსტებაში. აქ ქართული მხარის პასიურობამ გააჩინა ეჭვები და კითხვები. გასული თვეების განმავლობაში დაფიქსირდა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ქვეყნების ამ ჯგუფში არსებულ რეალობას ასახავდა - როდესაც ბალტიის სახელმწიფოთა ლიდერები, პოლონეთის ლიდერთან ერთად, ესტუმრნენ უკრაინას და შეხვდნენ უკრაინის პრეზიდენტს,[16] ერთად მდგომი მეგობრული ქვეყ-ნების პრეზიდენტების სურათმა ბევრს 2008 წლის სურათი გაახსენა, როდესაც იმავე სახელმწიფოების ლიდერები საქართველოში ჩამოვიდნენ ომის დროს მხარ-დაჭერის გამოსახატავად. მათ შორის იყო უკრაინის პრეზიდენტიც - ამჟამად კი ქართული წარმომადგენლობა კიევში ვიზიტს არ ესწრებოდა.

საქართველოს შიდა პრობლემებმა უკანასკნელ პერიოდში პირდაპირი გავლენა მოახდინა ქვეყნის პოზიციონირებაზე საერთაშორისო ასპარეზზე. ეს განსაკუთრებით ეხება ურთიერთობას უკრაინასთან. უკრაინის მმართველი პოლიტიკური ელიტა არ აღმოჩნდა მისაღები მმართველი პოლიტიკური ელიტისთვის საქართველოში, მათი კავშირების გამო საქართველოს წინა მმართველ ძალასთან. ამ პარტიათაშორისმა დაპირისპირებამ გავლენა მოახდინა ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე უკრაინისთვის მძიმე დროს, როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო მის გარშემო გაერთიანდა. ეს კარგად არ აისახა საქართველოს იმიჯზე, მათ შორის, მისი მეგობრების თვალში, რადგან დასავლური პოზიცია, რომელიც ბალტიის სახელმწიფოების პოზიციასაც მოიცავს, მკვეთრად და ერთმნიშვნელოვნად პროუკრაინულია. სწორედ ამ პოზიციამ უბიძგა დასავლურ სახელმწიფოებს, ბალტიის ქვეყნების ჩათვლით, კარგი ურთიერთობისკენ უკრაინის მთავრობასთან, რომელიც ახლა ომშია. შესაბამისად, ეს განსხვავება და დაყოფა უკრაინისა და მისი მთავრობის საკითხთან დაკავშირებით საქართველოსა და მისი პარტნიორების მმართველ კლასებს შორის ზედაპირზე ამოტივტივდა.

დემოკრატიული უკუსვლა როგორც დაბრკოლება საქართველოსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში

უკრაინის საკითხის გარდა, ქართულ-ბალტიისპირულ ურთიერთობებში კიდევ ერთი საკითხია. დემოკრატიული უკუსვლა და ხარვეზები დემოკრატიული რეფორმების გატარებაში, რაც აუცილებელია ევროკავშირის წევრობის კანდი-

დატის სტატუსის მისაღებად, რისთვისაც საქართველომ განაცხადი გააკეთა, უკვე იქცა დაბრკოლებად საქართველოსა და ევროპელ პარტნიორებს შორის. ეს კიდევ ერთხელ გაისმა მაშინ, როდესაც ევროკავშირმა არ გასცა რეკომენდაცია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე (განსხვავებით უკრაინისა და მოლდოვისგან) მანამ, სანამ ის არ შეასრულებს პირობებს რეფორმებთან, დემოკრატიზაციასთან და „დეოლიგარქიზაციასთან" დაკავშირებით.[17]

ბალტიის სახელმწიფოებიდან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურები მუდმივად ხაზს უსვამდნენ ამ საკითხს ინტერვიუებში და ზოგჯერ ქართველი ხალხისთვის დაწერილ წერილებშიც. ევროკავშირის რეკომენდაციებამდე რამდენიმე დღით ადრე ქართველებმა წერილი მიიღეს ევროპარლამენტის ლიეტუველი წევრებისგან, სადაც განხილული იყო დემოკრატიის გამოწვევები და მათი პოტენციალი შეაფერხოს საქართველო ევროკავშირისკენ სავალ გზაზე, თუ შესაბამისი ნაბიჯები არ იქნება გადადგმული.[18] წერილში ასევე კიდევ ერთხელ იყო ხაზგასმული საქართველოს პოზიცია უკრაინის საკითხის მიმართ, რომელიც მოხსენიებული იყო, როგორც „გაუგებარი". ევროპარლამენტში საქართველოში მედიის თავისუფლების შესახებ დებატების დროს, როდესაც რეზოლუციაც იქნა მიღებული, ესტონელმა პარლამენტის წევრმა მარინა კალიურანდმა ვითარება შეაფასა, როგორც „დაკარგული შესაძლებლობა" და მოუწოდა ქართველ პოლიტიკოსებს, რომ დებატები მიეღოთ როგორც „უკანასკნელი გამომაფხიზლებელი სიგნალი".[19] ამგვარ გაფრთხილებებზე ქართული ხელისუფლების საპასუხო რეაქცია ყოველთვის უარყოფითი იყო. თუმცა გამოჩნდა, რომ ევროკავშირის რეკომენდაციებმა და წინაპირობებმა, რომელთა შესრულებაც საჭიროა საქართველოსთვის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, გაიმეორა წუხილი საქართველოში დემოკრატიასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

პერსპექტივა პარტნიორობის გასაგრძელებლად

როგორც უკვე აღინიშნა, ბალტიის სახელმწიფოების მხარდაჭერა უკრაინისა და საქართველოს მიმართ დგას არა მხოლოდ საერთო წარსულსა და ინტერესზე, რომ შემცირდეს რუსეთის გავლენები, არამედ, ასევე, საერთო დემოკრატიულ ღირებულებებზე. დიპლომატიურ წრეებში ფართოდაა აღიარებული, რომ ბალტიის ქვეყნების გამოცდილება დემოკრატიულ ტრანზიციასთან და ევროკავშირსა და ნატოში წევრობასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, რომლის მიზანია იგივე გზა გაიაროს. ასევე ფართოდაა აღიარებული, რომ ეს სახელმწიფოები მხოლოდ თავად კი არ უჭერდნენ მხარს უკრაინასა და საქართველოს, ასევე ცდილობდნენ სხვებიც დაერწმუნებინათ მხარდაჭერის საჭიროებაში.[20] ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ესტონეთი ავითარებდა თანამშრომლობის კონკრეტულ გეგმებს საქართველოსთან. კერძოდ, სტრატეგია, რომელიც 2021 წლის დეკემბერში დამტკიცდა — 2021-2024 წლის ესტონეთ-საქართველოს სტრატეგია, მიზნად ისახავს საქართველოს მხარდაჭერას დემოკრატიის განვითარების

მიმართულებით, მხარდაჭერას განათლებასა და მეწარმეობაში.[21] თუმცა, ასეთი მხარდაჭერა და პარტნიორობა ბალტიის სახელმწიფოებთან თავისთავად მუდმივად გარანტირებული ვერ იქნება და დამოკიდებულია იმ გზაზე, რომელსაც საქართველო აირჩევს ევროპული ურთიერთობების მიმართულებით. ამ რთულ დროს საქართველოს უკრაინასთან დაძაბულობა ქვეყნის იმიჯზე ცუდად აისახება და პარტნიორებში აჩენს კითხვებს — იქნება თუ არა საქართველო სტაბილური და სანდო პარტნიორი დემოკრატიის განვითარების და რუსეთისგან დისტანცირების გზაზე. ამ კითხვებმა თავი იჩინა უკანასკნელ პერიოდში, რადგან საქართველოს არყოფნას უკრაინასთან სიახლოვეს (და, მაშასადამე, ევროპული უსაფრთხოების მხარეს) „აღმოსავლეთ ევროპულ გუნდში“ შეუმჩნევლად არ ჩაუვლია.

დემოკრატიული ცვლილებების სურვილი და რეფორმებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულება განსაზღვრავს არა მხოლოდ საქართველოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატობის სტატუსს, არამედ ჩვენი ქვეყნის ურთიერთობას უახლოეს პარტნიორებთანაც — ბალტიის სახელმწიფოებთან. საქართველოსთვის აუცილებელია ამ სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობისა და ნდობის შენარჩუნება, რადგან ისინი დიდი ხანია არიან ყველაზე აქტიური დამცველები ქვეყნის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მიმართულებით. მათი მხარდაჭერის გარეშე კი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრირების შანსები კიდევ უფრო შემცირდება.

შენიშვნები

1. “Relations between Georgia and the Baltic states a key focus during the war in Ukraine”, The Baltic times, 25 April, 2022 https://www.baltictimes.com/relations_between_georgia_and_the_baltic_states_a_key_focus_during_the_war_in_ukraine/

2. ”Baltic states ready to ensure stronger support for Georgia, Ukraine at NATO summit”, Agenda.ge, 9 June, 2021 https://agenda.ge/en/news/2021/1555

3. “Baltic states show support to Georgia”, DW, 11 August, 2008 https://www.dw.com/en/baltic-states-show-support-for-georgia/a-3555990

4. “პუტინმა ეს ომი მანამდე წააგო, სანამ დაიწყებდა”- ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტი, კერსტი კალიულაიდი, Radio Liberty, 5 April. 2022 https://www.radiotavisupleba.ge/a/31787419.html

5. “87% of Georgians: Ukraine’s war ours too”, civil.ge, 10 March, 2022 https://civil.ge/archives/478160?fbclid=IwAR1YqGXI_oeVx6lpA_1uM7qMVwFvIciF3-o6H17-5EVHz7pFjoqzudP3o-U

6. “Georgia says it won’t join international sanctions against Russia”, eurasianet, 25 February, 2022 https://eurasianet.org/georgia-says-it-wont-join-international-sanctions-against-russia

7. “Amid war, bitter exchange continue to spoil Tbilisi-Kyiv relations”, eurasianet, 44 May, 2022 https://eurasianet.org/amid-war-bitter-exchanges-continue-to-spoil-tbilisi-kyiv-relations

8. See post by the former president of Estonia Toomas Hendrik Ilves: https://twitter.com/ilvestoomas/status/1379671978626449411

9. Natalie Sabanadze , ”Georgia’s European dream: Closer than ever yet still far away”, Georgian institute of politics, 4 June, 2022 https://gip.ge/georgias-european-dream-closer-than-ever-yet-still-far-away/

10. “War in Ukraine: will the Baltics become the “new West Berlin”? Financial Times, 9 March, 2022 https://www.ft.com/content/d711c884-653d-4336-a490-b9075e5ce82f

11. “Estonia and the Baltic states to help Ukraine with missiles”, Estonian world, 21 January, 2022 https://estonianworld.com/security/estonia-and-the-baltic-states-to-help-ukraine-with-missiles/

12. “Riigikogu passes communication calling for no-fly zone over Ukraine”, ERR News, 15 March, 2022 https://news.err.ee/1608532135/riigikogu-passes-communication-calling-for-no-fly-zone-over-ukraine

13. “The Riigikogu passed a statement on Russia’s war crimes and genocide in Ukraine”, Riigikogu, 21 April, 2022 https://www.riigikogu.ee/istungi-ulevaated/riigikogu-vottis-vastu-avalduse-venemaa-sojakuritegudest-ja-genotsiidist-ukrainas/

14. “Lithuania abandons Russian gas imports, urges EU to do the same”, Euronews, 3 April, 2022 https://www.euronews.com/2022/04/03/lithuania-abandons-russian-gas-imports-urges-eu-to-do-the-same

15. Dalia Bankauskaite, “The Baltic states response to war against Ukraine”, CEPA, 28 March, 2022 https://cepa.org/the-baltic-states-response-to-war-against-ukraine/

16. ”Presidents Of Poland, Baltic States Visit Kyiv, Meet With Zelenskiy In Show Of Support”, Radio Liberty, 13 April, 2022 https://www.rferl.org/a/polish-baltic-presidents-visit-kyiv-zelenskiy/31801961.html

17. “In Groundbreaking Move, EU Recommends Candidate Status For Ukraine, Moldova”, Radio Liberty, 17 June, 2022 https://www.rferl.org/a/ukraine-georgia-moldova-eu-candidates/31902263.html

18. “Ivanishvili or Europe, two MEPs forewarn Georgians”, civil.ge 7 June, 2022 https://civil.ge/archives/494764

19. “We are disappointed – European Parliament on Media Freedom in Georgia”, JAM News, 9 June, 2022 https://jam-news.net/we-are-disappointed-european-parliament-on-media-freedom-in-georgia/

20. “Georgian ambassador: Estonia’s experience is important for us”, ERR News, 17 June, 2022 https://news.err.ee/1608622045/georgian-ambassador-estonia-s-experience-is-important-for-us

21. “Foreign Minister Liimets approved the Estonia-Georgia development cooperation strategy” Embassy of Estonia, Tbilisi, 17 December, 2021 https://tbilisi.mfa.ee/foreign-minister-liimets-approved-the-estonia-georgia-development-cooperation-strategy/

ბიბლიოგრაფია

- Bankauskaite, D. “The Baltic states response to war against Ukraine”, CEPA, 28 March, 2022 https://cepa.org/the-baltic-states-response-to-war-against-ukraine/
- Sabanadze, N. ”Georgia’s European dream: Closer than ever yet still far away”, Georgian institute of politics, 4 June, 2022 https://gip.ge/georgias-european-dream-closer-than-ever-yet-still-far-away/
- “Baltic states show support to Georgia”, DW, 11 August, 2008 https://www.dw.com/en/baltic-states-show-support-for-georgia/a-3555990
- “Foreign Minister Liimets approved the Estonia-Georgia development cooperation strategy” Embassy of Estonia, Tbilisi, 17 December, 2021 https://tbilisi.mfa.ee/foreign-minister-liimets-approved-the-estonia-georgia-development-cooperation-strategy/
- “Estonia and the Baltic states to help Ukraine with missiles”, Estonian world, 21 January, 2022 https://estonianworld.com/security/estonia-and-the-baltic-states-to-help-ukraine-with-missiles/
- “Georgia says it won’t join international sanctions against Russia”, eurasianet, 25 February, 2022 https://eurasianet.org/georgia-says-it-wont-join-international-sanctions-against-russia
- “War in Ukraine: will the Baltics become the “new West Berlin”? Financial Times, 9 March, 2022 https://www.ft.com/content/d711c884-653d-4336-a490-b9075e5ce82f
- “87% of Georgians: Ukraine’s war ours too”, civil.ge, 10 March, 2022 https://civil.ge/archives/478160?fbclid=IwAR1YqGXI_oeVx6lpA_1uM7qMVwFvIciF3-o6H17-5EVHz7pFjoqzudP3o-U
- “Riigikogu passes communication calling for no-fly zone over Ukraine”, ERR News, 15 March, 2022 https://news.err.ee/1608532135/riigikogu-passes-communication-calling-for-no-fly-zone-over-ukraine
- “Lithuania abandons Russian gas imports, urges EU to do the same”, Euronews, 3 April, 2022 https://www.euronews.com/2022/04/03/lithuania-abandons-russian-gas-imports-urges-eu-to-do-the-same
- „“პუტინმა ეს ომი მანამდე წააგო, სანამ დაიწყებდა”- ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტი, კერსტი კალიულაიდი“, Radio Liberty, 5 April. 2022 https://www.radiotavisupleba.ge/a/31787419.html
- ”Presidents Of Poland, Baltic States Visit Kyiv, Meet With Zelenskiy In Show Of Support”, Radio Liberty, 13 April, 2022 https://www.rferl.org/a/polish-baltic-presidents-visit-kyiv-zelenskiy/31801961.html
- “The Riigikogu passed a statement on Russia’s war crimes and genocide in Ukraine”, Riigikogu, 21 April, 2022 https://www.riigikogu.ee/istungi-ulevaated/riigikogu-vottis-vastu-avalduse-venemaa-sojakuritegudest-ja-genotsiidist-ukrainas/
- “Relations between Georgia and the Baltic states a key focus during the war in Ukraine”, The Baltic times, 25 April, 2022 https://www.baltictimes.com/relations_between_georgia_and_the_baltic_states_a_key_focus_during_the_war_in_ukraine/

- “Amid war, bitter exchange continue to spoil Tbilisi-Kyiv relations”, eurasianet, 44 May, 2022 https://eurasianet.org/amid-war-bitter-exchanges-continue-to-spoil-tbilisi-kyiv-relations
- “Ivanishvili or Europe, two MEPs forewarn Georgians”, civil.ge 7 June, 2022 https://civil.ge/archives/494764
- ”Baltic states ready to ensure stronger support for Georgia, Ukraine at NATO summit”, Agenda.ge, 9 June, 2021 https://agenda.ge/en/news/2021/1555
- “We are disappointed – European Parliament on Media Freedom in Georgia”, JAM News, 9 June, 2022 https://jam-news.net/we-are-disappointed-european-parliament-on-media-freedom-in-georgia/
- “In Groundbreaking Move, EU Recommends Candidate Status For Ukraine, Moldova”, Radio Liberty, 17 June, 2022 https://www.rferl.org/a/ukraine-georgia-moldova-eu-candidates/31902263.html
- “Georgian ambassador: Estonia’s experience is important for us”, ERR News, 17 June, 2022 https://news.err.ee/1608622045/georgian-ambassador-estonia-s-experience-is-important-for-us
- Toomas Hendrik Ilves : https://twitter.com/ilvestoomas/status/1379671978626449411